

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N005/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლანა კოპალიანი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის პრეტენზია უკავშირდება პროცესის მონაწილის, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის არაეთიკურ ქცევას. საჩივრის ავტორის ნათესავებს, მეუღლეებს შორის მიმდინარეობდა ქონებრივი დავები. ერთ-ერთ სადავო უძრავ ქონებაზე მოწინააღმდეგე მხარემ თვითნებურად შეცვალა სახლისა და ეზოს ჭიშკრის გასაღები. საჩივრის ავტორმა აღნიშნულზე გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რაზეც შედგა ოქმი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამავ დროს შემთხვევის ადგილას მივიდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, რა დროსაც მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საჩივრის ავტორს, ასევე არაკორექტულად ისაუბრა პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე. იგივე დამოკიდებულება გამოავლინა ადვოკატმა საპროცესო დოკუმენტებში და პროცესის მსვლელობისას. ადვოკატს მოწინააღმდეგე მხარის დამცირების ხარჯზე სურდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ მისი მხრიდან საჩივრის ავტორის მიმართ შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც ყოველ ბრალდებას უსაფუძვლოდ და აბსურდულად მიიჩნევს.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევაზე. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი სცეს და არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის. ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის სიტყვიერი შეურაცხყოფა გარდა საჩივრისა სხვა მტკიცებულებებით არ დადასტურდა. ადვოკატი უარყოფს შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და წარმოადგინა ინციდენტის შემთხვევის დღეს შედგენილი ზეპირი გამოკითხვის ოქმები, სადაც არ ფიქსირდება შეურაცხყოფის მიყენება. ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესზე მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის მიმართ არაკორექტულად საუბარი, გარდა საჩივარში მოცემული გარემოებებისა სხვა მტკიცებულებებით არ დადასტურდა. რაც შეეხება შესაგებელში ადვოკატის მხრიდან გაკეთებულ სადავო განმარტებას, როგორცაა: „აღნიშნულ გარემოებაში მოსარჩელეს არანაირი მონაწილეობა, მატერიალური სახსრების გაღების თვალსაზრისით არ მიუღია და მას არანაირი მორალური უფლება, რომ მოითხოვოს რაიმე წილი თანასაკუთრებაში, არ გააჩნია“, ეთიკის კომისიამ მიიჩნია ეთიკურად. ადვოკატს უფლება აქვს კანონიერი ფორმით ან პროცესუალური საშუალებების გამოყენებით დაიცვას კლიენტის ინტერესები, მაგრამ დაცვა უნდა ხორციელდებოდეს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში, რაც აღნიშნულ შემთხვევაში სრულად იყო დაცული.

დასკვნა

ადვოკატის ქცევით არ შელახულა პროცესის მონაწილის უფლებები და მიიღო დისციპლინური ღონისძიებები ადვოკატზე უარის თქმის გადაწყვეტილება.

¹<https://gba.ge/pdf/5c52a16adc8de.pdf/5c52a16adc8de.pdf>